



მატიას ენარი

კომპასი

დიდგენის
ბიბლიოთეკა

მატიას ენარი
კომპასი

Mathias Énard
BOUSSOLE

ფრანგულიდან თარგმნა პაატა ჯავახიშვილიმა

Cet ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d'aide à la publication de l'Institut Français.

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.



მწერალთა
სახლი

წიგნი გამოიცა მწერალთა სახლისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

© Editions Actes Sud - Arles 2015
Published by arrangement with Lester Literary Agency
All rights reserved.

Illustration: p. 296, El Dschihad. Zeitung für die muhammedanischen Kriegsgefangenen (Arabische Ausgabe)

© Copyright: bpk / Museum Europäischer Kulturen, SMB

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-668-1

www.diogene.ge

*Die Augen schließ' ich wieder,
Noch schlägt das Herz so warm.
Wann grünt ihr Blätter am Fenster?
Wann halt' ich mein Liebchen im arm?*

დავხუჭავ თვალებს ნაზი გრძნობებით,
გული კი ფეთქავს კვლავ გამალებით.
როს გამწვანდება ფოთლები სარკმლებში?
როდის მოვიქცევ სიყვარულს მკლავებში?

ვილჰელმ მიულერი და ფრანც შუბერტი
მოგ ზაურობა ზამთარში

**სიგიჟის სხვადასხვა
ფონშა
აღმოსავლეთში**

შეყვარებული ორიენტალისტები.....	117
განგრენა და ჭლექი	259
აღმოსავლეთმცოდნეთა, ვითარცა მორწმუნეთა წინამძღოლთა, პორტრეტები ...	289
თავმოკვეთილთა ენციკლოპედია.....	441

ორივენი ოპიუმის მწვევლები ვართ, ჩვენ-ჩვენს ღრუბლებში გახვეული, რომელთა მიღმა ვერაფერს ვხედავთ. მარტოსულები ვართ, ვენევიტ და არასდროს გვესმის ერთმანეთის, სარკეში გაშეშებული სახეები გვიჩანს, ჩვენს გაყინულ გამომეტყველებას მხოლოდ დრო თუ სძენს მოძრაობის ილუზიას. ჭირხლზე ჩაცურებული თოვლის ფიფქი ვარ, რომლის რთულ აგებულებასაც ვერაფერს არჩევს. ჯერ აორთქლებული და მერე ჩემი სასტუმრო ოთახის ფანჯარაზე კვლავ სითხედ ქცეული წყლის წვეთი ვარ, თხევადი მარგალიტი, რომელიც ქვევით მიგორავს და წარმოდგენაც არა აქვს იმ ორთქლზე, რომელმაც შვა. არც ატომებზე, რომლებისგანაც ის ჯერ კიდევ შედგება, მაგრამ რომლებიც მალე სხვა მოლეკულებს, სხვა სხეულებს, ღრუბლებს გამოადგებათ. ღრუბლებს, რომლებიც მძიმედ აწევს ამ საღამოს ვენას: ვინ იცის, ვის კეფას დაენვეთება ეს წყალი, ვის კანს, რომელ ტროტუარს ან რომელი მდინარისკენ ჩასრიალდება... მინაზე არეკლილი ეს ბუნდოვანი სახე კი ილუზიის მილიონი შესაძლო კონფიგურაციიდან ერთ-ერთია და ძალიან ცოტა ხნით, სულ ერთი წამითაა ჩემი. ოჰ, ბ-ნი გრუბერი თავის ძალს ასეირნებს, ყიჟმატი წვიმის მიუხედავად, თავზე მწვანე ქუდი დაუხურავს და ტანთ განუყრელი სანვიმარი აცვია. თავს იცავს მანქანების შხეფებისგან და მოკლე-მოკლე, სასაცილო ნახტომებით მიდის ტროტუარზე: ცუგას ჰგონია, თამაში უნდაო, პატრონს ახტება და კარგ სილაქსაც იღებს, როცა თავის ტურტლიან თათს სანვიმარზე ადებს. ქუჩაზე გადასასვლელად ბ-ნი გრუბერს ბოლოს მაინც უწევს გზის სავალ ნაწილთან მიახლოება. ლამპიონები სილუეტს ისე უგრძობლებს, გეგონება, ჩამავებული გუბეა პორცე-

ლანგასეს შუქურებისაგან დაფლეთილი დიდი ხეების ჩრდილთა ზღვაშიო. ჰერ გრუბერი აშკარად ყოყმანობს, ჩაეფლოს თუ არა აღზერგრუნდის წყვდიადში, როგორც მე ვერ გამიგია, შევწყვიტო თუ არა წყლის წვეთებით, თერმომეტრითა და „მოტენტორის“ სადგურისკენ ჩამავალი ტრამვაის ხმით ტკობა.

ცხოვრება მტკივნეული ანარეკლია, ოპიომანის სიზმარია, შაჰ-რამ ნაზერის ნამღერი რუმის ლექსია. ზარბის ოსტინატო ისე ათრთოლებს მინას ჩემს თითებქვეშ, თითქოს დოლის ტყავი იყოს. არადა, საკითხავს უნდა მივუბრუნდე და აღარ ვუყურო, როგორ მიეფარება თვალს ბ-ნი გრუბერი წვიმაში, აღარ ვუგდო ყური, როგორ ახუჭუჭებს მელისმებს ირანელი მომღერალი, რომლის სიმძლავრე და ტემბრი არაერთ ჩვენს ტენორს გაანითლებდა სირცხვილისგან. უნდა გავაჩერო ფირფიტა, თორემ თავს ვერ ვუყერი აზრებს. მეთაედ ვკითხულობ სტატიის ამ ამონაბეჭდს, მაგრამ მაინც არ მესმის მისი იდუმალებით მოცული შინაარსი, ოცი გვერდი, ოცი საშინელი, სისხლის გამყინავი გვერდი, რომელიც ზუსტად დღეს მომივიდა, დღეს, როდესაც რომელიმე გულმონყალე ექიმმა შეიძლება უკვე მოუძებნა კიდეც სახელი ჩემს დაავადებას, ჩემი სხეული ოფიციალურად დაავადებულად გამოაცხადა და თითქმის გულზე მოეშვა, როცა ჩემს სიმპტომებს სასიკვდილო კოცნასავით დაუსვა დიაგნოზი. ეს დიაგნოზი ჯერ კიდეც უნდა დადასტურდესო, მითხრა, თან მკურნალობა უნდა დავიწყოთ და მერე სნეულების ევოლუციას უნდა დავაკვირდეთო. დიახ, ევოლუციასო, ასე მითხრა. ჰოდა, ასე. ვუყურებ წყლის წვეთს, რა ევოლუციას გადის გაქრობამდე, ვიდრე მარადისობას შეერწყმება.

არ არსებობს შემთხვევითობა, ყველაფერი ურთიერთკავშირშიაო, სარა იტყოდა. რატომ ვიღებ მაინცდამაინც დღეს ამ სტატიის ამონაბეჭდს ფოსტით, სტეპლერით აკინძული ქალაღების სახით და არა PDF-ს, კეთილი სურვილებით ან ელექტრონულ წერილს, რომელიც სარას ამბებს მამცნობდა, ამიხსნიდა, სადაა ის ან ეს სარავაკი რა არის, საიდანაც მწერს. ჩემი ატლასის მიხედვით, კუნძულ ბორნეოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მალაიზიის ერთ-ერთი შტა-

ტია, ორ ნაბიჯში ბრუნეიდან და მისი მდიდარი სულთნისაგან, ასევე ორ ნაბიჯში დებოუსისა და ბრიტენის გამელანებისგან, მგონი. თუმცა სტატის შინაარსი ძალიან განსხვავებულია და იქ მუსიკა ნახსენები არ არის, გრძელ სამგლოვიარო გალობას თუ არ ჩავთვლით. წვრილად ნაბეჭდი ოცი ფურცელი გამოვიდა „Representations“-ის სექტემბრის ნომერში, კალიფორნიის უნივერსიტეტის დიდებულ ჟურნალში, სადაც მას უკვე არაერთხელ გამოუქვეყნებია რალაცეები. სტატის თავფურცელზე ყოველგვარი კომენტარის გარეშე აწერია: *გიძღვნი შენ, უძვირფასესო ფრანც, გკოცნი ბევრს, სარა და გამოგზავნილია ფოსტით 17 ნომბერს, ესე იგი ორი კვირის წინ – ჯერ კიდევ ორი კვირა სჭირდება ფოსტას მაღალიზია-ავსტრიის გზის დასაფარად, არადა, შეეძლო, მარკებით გამოგზავნა, შეეძლო, ღია ბარათი დაერთო თან, მიენიშნებინა, რა იგულისხმება ამ ყველაფერში. ყველგან ვეძებე, სადაც კი სარას კვალი დაუტოვებია ჩემს ბინაში – მის სტატიებში, ორივე წიგნში, რამდენიმე ფოტოსურათში, მის ორ სქელ ტომად ამობეჭდილ და წითელყდიან სადოქტორო დისერტაციაში, თითო სამ კილოს რომ იწონის:*

„ცხოვრებაში არის ჭრილობები, რომლებიც კეთრევით ღრღნის და ხრავს მარტოკაცის სულსო, წერს ირანელი სადეყ ჰედაიათი თავისი რომანის „ბრმა ბუს“ დასაწყისში: ამ პატარა სათვლიანმა კაცმა ყველაზე კარგად იცოდა ეს. სწორედ ამგვარმა ჭრილობებმა უბიძგა პარიზში, შამპიონეს ქუჩაზე მდებარე თავის ბინაში, ბოლომდე გაელო გაზის ონკანი აპრილის ერთ, მარტოობის ყველაზე აუტანელ საღამოს. შორს, ძალიან შორს იყო ირანიდან, ხაიამის რამდენიმე ლექსისა და, შეიძლება, კონიაკის მუქი ბოთლის ან ოპიუმის პატარა ბურთულის ამარა. შეიძლება, სულაც არაფერი ებადა ტექსტების გარდა, რომლებიც მუდამ თან ჰქონდა და ამჯერადაც თან წაიღო გაზის ამ დიად სიცარიელეში.

არავინ იცის, დატოვა თუ არა წერილი ან სხვა რამ ნიშანი, გარდა დიდი ხნის წინ დასრულებული თავისი რომანისა „ბრმა ბუს“. სიკვდილიდან ორი წლის თავზე წიგნმა დიდი აღფრთოვანება გა-

მოიწვია ფრანგ ინტელექტუალებში, რომლებსაც არასდროს არაფერი წაეკითხათ ირანზე: გამომცემელი ჟოზე კორტი „ბრმა ბუს“ შემდეგ მალევე აქვეყნებს „სირტის ნაპირებს“, ყულიენ გრაკს კი წარმატება მაშინ ეწვევა, როცა შამპიონეს ქუჩაზე გაზს თავისი შედეგი მოჰქონდა, 1951 წელს და იტყვის, „ნაპირები“ „ყველა კეთილშობილი არამზადის“ რომანიაო, იმათი, ვინც მოახერხა და ჰვედაიათს ღვინითა და გაზით ამოხადა სული. ანდრე ბრეტონი ამ ორი კაცისა და მათი წიგნების მხარეს დაიჭერს, მაგრამ ეს ძალიან დაგვიანებული აღმოჩნდება იმისათვის, რომ ჰვედაიათი თავისი ჭრილობებისაგან დაეხსნა, თუკი შეიძლებოდა საერთოდ მისი დახსნა, თუკი სწეულება ესოდენ უკუჩვენებელი არ იქნებოდა.

ჩია კაცი, რომელსაც სქელმინებიანი მრგვალი სათვალე ეკეთა, აქაც დევნილობაში იყო, როგორც ირანში, მშვიდად და მოკრძალებულად ცხოვრობდა და ხმადაბლა ლაპარაკობდა. ის ბოლომდე გარიყა ირონიამ და ბოროტმა სევდამ, რასაც გიჟებისა და ლოთების მიმართ მისი სიმპათია და ზოგიერთი წიგნისა და პოეტის მიმართ მისი შესაძლო აღტაცებაც ემატებოდა. შეიძლება, სულაც იმის გამო მოჰყვა ცენზურაში, რომ ოპიუმსა და კოკაინს ეპარებოდა და, ამასთან, ნარკომანებს დასცინოდა; შეიძლება, იმიტომ, რომ მარტო სვამდა, ან ის ნაკლი ჰქონდა, რომ ღმერთისგან აღარაფერს ელოდა, მაშინაც კი, როდესაც საღამოობით საშინელი მარტოობისაგან თვალი გაზის ონკანისკენ გაუბრუნდა; შეიძლება, იმიტომ, რომ საცოდავი იყო, ან იმიტომ, რომ გონებით სჯეროდა თავისი ნაწერების მნიშვნელობა, ანდაც იმიტომ, რომ არ სჯეროდა და ეს ყველაფერი სხვებს აღიზიანებდა.

არავითარი მემორიალური დაფა არ გვამცნობს არც მისი იქ ცხოვრებისა და არც იქიდან მისი გამგზავრების ამბავს, ირანში არც ერთი ძეგლი არ გვახსენებს მას, მიუხედავად ისტორიის წონისა, რომელიც მას არახელწამოსაკრავად აქცევს და მიუხედავად მისი სიკვდილისა, რომელიც მის თანამემამულეებს კვლავაც მხრებზე აწევთ. მისი შემოქმედება დღეს თეირანში ისე ცოცხლობს, როგორც ის თავად მოკვდა – გაჭირვებასა და იატაკქვეშეთში, ძველმანების ბაზრო-

ბების თაროებზე ან დაჩეხილ-შემოკლებულ ხელახალ გამოცემებში, ამოღებულია ყველა მინიშნება, რომელმაც შეიძლება მკითხველი ნარკოტიკისა და თვითმკვლელობისკენ წაიყვანოს, რათა ირანელი ახალგაზრდობა დაიცვან, მაგრამ ეს ახალგაზრდობა ისედაც სასონარკვეთილია, თვითმკვლელობისკენა მიდრეკილი და ნარკოტიკებითაა გაბრუებული; ამიტომაც ჰედაიათის წიგნებს დიდი სიამოვნებით აცხრება, თუ სადმე გადააწყდა. ასე გაგებულნი და არასწორად წაკითხული განისვენებს პერ-ლაშეზე სხვა დიდი ადამიანების გვერდით, ორ ნაბიჯში პრუსტიანთან, ისევე სადად ამ თავის მარადისობაში, როგორც სიცოცხლეში იყო, მოკრძალებულად, ყვავილებისა და ხშირი სტუმრობებისაგან გაუნებვირებელად 1951 წლის აპრილის იმ დღის შემდგომ, როდესაც, სულის დაუძლეველი და უკუზრუნებელი კეთრისაგან ბოლომდე გამოხრულმა, შამპონეს ქუჩაზე გაზი აირჩია ყველაფრისთვის წერტილის დასასმელად. „არავინ იღებს თავის მოკვლის გადაწყვეტილებას; უბრალოდ, თვითმკვლელობა ჩაბუდებულია ზოგიერთ ადამიანში, მათი ბუნების ნაწილია“, ჰედაიათმა ეს სიტყვები 1920-იან წლებში დანერა. მან ეს იქამდე დანერა, ვიდრე კაფკას წაიკითხავდა და თარგმნიდა, ვიდრე მკითხველს ხაიამს წარუდგენდა. მისი შემოქმედება ბოლოდან იხსნება. პირველი კრებული, რომელსაც ის აქვეყნებს, „ცოცხლად დამარხულით“ („ზენდე ბე გურით“), თვითმკვლელობითა და განადგურებით იწყება და, ჩვენი აზრით, ნათლად აღწერს ადამიანის ფიქრებს, რომელიც ოცი წლის შემდეგ გაზს მინებდება და ნახ თვლემას მიეცემა. ოლონდ მას შემდეგ, რაც თავის ნაწერებსა და შენიშვნებს გაანადგურებს პანანინა სამზარეულოში, რომელიც კარსმომდგარი გაზაფხულის აუტანელ სურნლებას აუვსია. მან თავისი ხელნაწერები გაანადგურა, რადგან შეიძლება კაფკაზე უფრო მამაცი იყო, ან იქნებ იმიტომ, რომ მაქს ბროდი არ ჰყოლია გვერდით, შეიძლება, იმიტომ, რომ არავის ენდობოდა ან დარწმუნებული იყო, რომ წასვლის უამი დადგა. და კაფკა თუ ხველებ-ხველებით წავიდა და თან ბოლო წუთამდე იმ ტექსტებს ასწორებდა, რომელთა დანვაც სურდა, ჰედაიათი ღრმა ძილის ნელ აგონიაში კვდებოდა, მისი სიკვდილის ამბავი ოცი წლით ადრე უკვე

ენერა, მის სიცოცხლეს კი იმ კეთრის წყლულები აჩნდა, რომელიც მარტოობისას ხრავდა და რომელიც, როგორც ვხვდებით, ირანს, აღმოსავლეთს, ევროპასა და დასავლეთს უკავშირდებოდა, ისევე როგორც კაფკა იყო პრალაში ერთდროულად გერმანელიც, ებრაელიცა და ჩეხიც, თუმცა კი ისე, რომ სინამდვილეში არც ერთი მათგანი არ ყოფილა, ყველაზე მივინყებულნი და ყველაზე თავისუფალი. ჰედაიათს ერთი იმ სნეულებათაგანი ჰქონდა, რომელიც წონასწორობას აკარგვინებს ადამიანს ამ სამყაროში. ეს ბზარი ისე გაფართოვდა, რომ ბოლოს ნაპრაღად იქცა; ეს კი, ისევე როგორც ოპიუმი, ალკოჰოლი და ყველაფერი, რაც ორად ხლეჩს ადამიანს, დაავადება კი არა, გადანყვეტილებაა, სურვილია, შუაზე გააპოს საკუთარი თავი.

ჰედაიათის ამ ნაშრომსა და მის „ბრმა ბუში“ ჩაღრმავება იმას ნიშნავს, რომ ამ შეშლილობის გამოკვლევა გვსურს, ბზარში შეხედვა გვინდა, იმ ქალებისა და კაცების სიმთვრალეში შეღწევა გვინდა, რომლებმაც სრულიად დაკარგეს საკუთარი თავი სხვის ტყავში ყოფნისას; ჩვენ ხელს ჩავავლებთ ამ კაცს და დავაკვირდებით იარებს, რომლებიც ხრავს ადამიანებს, ნარკოტიკებს, სხვადასხვა ადგილებს და შევისწავლით მათ შუალედურ მდგომარეობას, ამ ბარზახს, სამყაროთაშორის სამყაროს, რომელშიც ხელოვანი და მოგზაური ხალხი ინთქმება“.

ნამდვილად გასაოცარი პროლოგია, პირველივე სტრიქონები თხუთმეტი წლის შემდეგაც კი თავგზის ამბნევია. გვიანი უნდა იყოს, ზარბის ჰანგებისა და ნაზერის ხმის მიუხედავად, თვალეები მეხუჭება ამ ძველ ნაბეჭდზე. სარა გაცოფებული იყო თავისი დისერტაციის დაცვისას, როდესაც შესავალში „რომანტიკული“ ტონი და გრაკთან და კაფკასთან ეს „საკითხთან სრულიად დაუკავშირებელი“ პარალელი უსაყვედურეს. მორგანი, სარას სამეცნიერო ხელმძღვანელი, მის დაცვას შეეცადა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ძალიან გულუბრყვილოდ, რაკი თქვა, კაფკას ხსენება ყოველთვის კარგიაო. ამან გაღიზიანებული აღმოსავლეთმცოდნეებისა და მთვლემარე ამაგდარ მეცნიერთა ჟიურში ოხვრა-ვაება გამოიწვია. მათ კი ამ დოქტრინუ-

ლი ძილიდან მხოლოდ ის სიძულვილი თუ გამოიყვანდა, რომელსაც ერთიმეორის მიმართ განიცდიდნენ: სხვათა შორის, მაშინვე დაივიწყეს სარას ესოდენ უჩვეულო შესავალი და მეთოდოლოგიის საკითხებზე აუშარდნენ ერთმანეთს – რა სცხია სამეცნიერო ნაშრომისა გასეირნებას (მოხუცი კაცი ისე გამოთქვამდა ამ სიტყვას, თითქოს რამე უხამსობას ამბობსო), თუნდაც თავად სადეე ჰედაიათი იყოს მეგზური. გავლით გახლდით პარიზში და კმაყოფილი ვიყავი, რომ მომეცა შესაძლებლობა, პირველად დავესწრებოდი „სორბონულ“ დაცვას. მიხაროდა ისიც, რომ ეს მისი დისერტაცია იყო, თუმცა როგორც კი დერეფნებისა და ჟიურის დარბაზის გახუნებული ფერების ხილვისგან გამონვეულმა გაკვირვებამ და მხიარულებამ გამიარა, დარბაზისა, რომელიც ღმერთმა უწყის, ცოდნის ლაბირნთის რომელი მიკარგული განყოფილების ყველაზე მიუვალ სიღრმეებში იყო გადატყორცნილი და სადაც ხუთი ბუმბერაზი ერთიმეორის მიყოლებით ავლენდა ინტერესის სიმცირეს ტექსტის მიმართ, რომელიც, წესით და რიგით, უნდა გაერჩიათ და ამისთვის არაადამიანური ძალისხმევა გაენიათ, რომ არ ჩასძინებოდათ – ისევე, როგორც მე დარბაზში, ამ მცდელობამ სიმწრითა და მელანქოლიით ამივსო გული. იმ დროს, როდესაც იქაურობას (დაჩეხილ-დახეთქილ მერხებიან უბადრუკ საკლასო ოთახს, სადაც ცოდნაზე მეტად გასართობ ამოჩხაპნილ წარწერებსა და მინებებულ კევებს უფრო იპოვიდით) ვტოვებდით, რათა ამ ხალხისთვის საკითხში ჩაღრმავება გვეცლია, ძალიან მომინდა, თავპირისმტვრევით ჩამერბინა სენ-მიშელის ბულვარამდე და წყლის პირას გამეელო, რომ სადმე სარას არ გადაეყროდი და ჩემი აზრებს არ მიმხვდარიყო ამ დაცვაზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მისთვის. ოცდაათ კაცამდე იქნებოდა, ესე იგი, შეიძლება ითქვას, ხალხმრავლობა, იმ ვინრო გასასვლელში, სადაც ერთმანეთს შევეფეთეთ; სარა დამსწრე საზოგადოებასთან ერთად გამოვიდა, ასაკოვან და ძალიან ელეგანტურ ქალს ელაპარაკებოდა, რომელიც, ვიცოდი, რომ დედამისი იყო და კიდევ ვილაც ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც გასაოცრად ჰგავდა მას და მისი ძმა აღმოჩნდა. შეუძლებელი იყო გასასვლელისკენ წას-

ვლას ისე, რომ მათ არ გადაეყროდი, ამიტომ გავიარ-გამოვიარე და დერეფანში გამოკიდებული აღმოსავლეთმცოდნეების პორტრეტები, ძველი, გაყვითლებული გრავიურები და ბედნიერი და გარდასული ეპოქის მოსაგონარი მომცრო ფირფიტები დავათვალიერე. სარა ვილაცას ესაუბრებოდა, დაქანცული სახე კი ჰქონდა, მაგრამ ბოლომდე არაქათგამოცლილი არ ჩანდა; შეიძლება, სამეცნიერო ბრძოლის ცეცხლში, როცა შენიშვნებს იწერდა, რათა მერე თავისი პასუხები მოემზადებინა, დამსწრე საზოგადოებისაგან სრულიად განსხვავებული შეგრძნებები ჰქონდა. დამინახა და ხელი დამიქნია. მე იქ მისი გულისთვის ვიყავი მისული, მაგრამ ჩემი საკუთარი დაცვისთვისაც ვემზადებოდი – თუნდაც მხოლოდ წარმოსახვის უნარით – და ის, რასაც სულ ცოტა ხნის წინ შევესწარი, სულაც არ მამშვიდებდა. თურმე ვცდებოდი: რამდენიმენუთიანი განხილვის შემდეგ, როდესაც ხელახლა დაგვიშვეს დარბაზში, სარას უმაღლესი ქულა მიაკუთვნეს; „გასეირნების“ მტერთა თავკაცი მხურვალე კომპლიმენტებს არ იშურებდა მისი ნაშრომისთვის. დღეს ამ ტექსტის დასაწყისი ხელახლა გადავიკითხე და უნდა ვაღიარო, რომ არის რაღაც ძალიან ძლიერი და ნოვატორული ამ ოთხას გვერდში, რომელიც აღმოსავლეთის, უტოპიების, იდეოლოგიური ბოდვების შესახებ არსებულ ხატებასა და წარმოდგენებს გვიქმნის, რომლებშიც ჩაიკარგა ბევრი იმათგანი, ვინც ამ ყველაფრის გავლა მოინდომა: არტისტები, პოეტები და მოგზაურები, რომლებმაც მათი გამოკვლევა სცადეს, თანდათანობით განადგურდნენ; მარტოობისას ილუზია სულს ღრღნისო, როგორც ჰედაიათმა თქვა, ის, რასაც დიდხანს სიგიჟეს, მელანქოლიასა და დეპრესიას უწოდებდნენ, ხშირად ხახუნის შედეგია, საკუთარი თავის დაკარგვის შედეგია საქმის კეთებისას, ალტერ ეგოსთან კონტაქტია და დღეს თუ ეს ყველაფერი ცოტათი ნაჩქარევი და რომანტიკული მეჩვენება, არა უშავს, სარას უკვე მაშინ ჰქონდა უტყუარი ინტუიცია, რომელზეც მთელი თავისი შემდგომი შრომა დააშენა.

როგორც კი ვერდიქტი გამოაცხადეს და მისი ბედნიერებით გამსჭვალული მისალოცად მივედი, სარამ გულმხურვალედ ჩამიკრა და, აქ რას აკეთებო, მკითხა. ილბალმა ზუსტად ახლა გადმომაგ-

დო პარიზში-მეთქი, მოვატყუე თავაზიანად. თავისიანებთან ერთად ტრადიციულ ჭიქა შამპანურზე მიმინვია და მეც დავთანხმდი; უბნის კაფეს მეორე სართულზე შევიყარეთ, სადაც ხშირად აღინიშნებოდა ხოლმე ამგვარი ამბები. სარას უცებ დაეტყო დალილობა, მოცე-ლილივით იყო, შევნიშნე, როგორ ჩვარივით ეკიდა კოსტიუმი ტანზე, მისი ფორმები აკადემიამ შეინირა, სხეულს კი გასულ კვირებსა და თვეებში განეული ძალისხმევის კვალი ემჩნეოდა: წინა ოთხი წელი-წადი ამ წამისთვის მზადება იყო, მის ყოფას აზრი მხოლოდ ამ წამისთვის ჰქონდა და ახლა, როცა შამპანური ნაკადულივით მორაკ-რაკებდა, თვალეზრებაზე იდგა და ბედს მინებებული მშობიარე ქალის ღიმილით იღიმოდა. ვხვდებოდი, რომ მეტისმეტი აღვზნების-გან თეთრად გატარებული წინა ღამე ნაშრომის შემონმებაში გაეტარებინა. ჟილბერ დე მორგანი, მისი დისერტაციის ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, აქ იყო. მე მას უკვე შევხვედროდი დამასკოში. ის არც მა-ლაავდა ლტოლვას თავისი პროტეჟეს მიმართ და წამით არ აცილებ-და მამობრივ მზერას, რომელიც შამპანურის სმასთან ერთად თან-დათანობით ინცესტისკენ იხრებოდა: მესამე ჭიქაზე მზერა აენტო და ლოყები აულაულაჟდა, მაღალ მაგიდასთან მარტო მდგომს ზედ იდაყვები ჩამოეყრდნო და თვალი მოვკარი, როგორ ააყოლა მზერა სარას ქვევიდან ზევით, კოჭებიდან ქამრამდე, მერე ზევიდან ქვევით ჩამოაყოლა, მსუბუქად და სევდიანად დაასლოკინა და მეოთხე ჭიქაც გამოცალა. შენიშნა, რომ ვაკვირდებოდი, ჯერ მრისხანედ დამიბრია-ლა თვალები, მერე კი მიცნო და გამიღიმა – ჩვენ ხომ უკვე შევხვედ-რივართ ერთმანეთსო, მკითხა. დიახ, ფრანც რიტერი გახლავართ და ერთმანეთს დამასკოში შევხვედრივართ სარასთან ერთად-მეთქი, შე-ვახსენე. ა, ჰო, მუსიკოსიო. ისე ვიყავი შეჩვეული ასეთ აგდებულ და-მოკიდებულებას, რომ პასუხად ოდნავ სულელივით ჩამეღიმა. ჯერ ორი სიტყვაც არ მქონდა ნათქვამი ახლად დაჯილდოებულისთვის, რომელსაც ყველა მეგობარი და ნათესავი გარს ეხვია, რომ ამ დიდმა მეცნიერმა გამომიჭირა, არადა, ყველა თავქუდმოგლეჯილი გაურ-ბოდა აუდიტორიისა თუ სამეცნიერო საბჭოს გარეთ. გარემოების შესაბამისად, ჩემს საუნივერსიტეტო კარიერაზე მისვამდა კითხვებს,

რომლებზეც არ ვიცოდით, რა მეპასუხა და რომლებიც, მერჩივნა, საკუთარი თავისთვისაც კი არ დამესვა; ყველაფრის მიუხედავად, კარგ ფორმაში იყო, ჭარმაგი, როგორც ფრანგები იტყვიან ხოლმე, რომ არა ვთქვათ მუსუსი ან წუნკი. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე თვეში თეირანში შევხვდებოდი, სრულიად განსხვავებულ გარემოებებსა და მდგომარეობაში, კვლავაც სარას კომპანიაში, რომელიც ახლა დიდი მონდომებით ესაუბრებოდა ნადიმს – ეს უკანასკნელი სულ ახალი ჩამოსული იყო და სარა, ალბათ, უხსნიდა, ვინ იყო მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე დისერტაციის დაცვისას. რატომ არ დაესწრო ნადიმი დაცვას, არ ვიცი; ისიც ძალიან ელეგანტური იყო, მრგვალსაყელოიანი თეთრი პერანგი ეცვა, რომელიც მუქი ფერის კანს უნათებდა და მოკლე შავი წვერი ამშვენებდა; ისე ეჭირა სარას მისი ხელები, გეგონებოდა, ცეკვას აპირებენო. პროფესორს მოვუბოდიშე და მათკენ გავემართე; ნადიმი მაშინვე ძმურად გადამეხვია, რამაც წამით დამასკში, ალექსანდრიაში გადამტყორცნა და გამახსენა, როგორ უკრავდა ნადიმი ლამლამობით ლუტნიას და როგორ ათრობდა სირიის ლითონისფერ ცაზე ვარსკვლავებს, შორეულ, ძალიან შორეულ ცაზე, რომელსაც კომეტების ნაცვლად რაკეტები, ჭურვები, საბრძოლო შეძახილები და ომი სერავდა. პარიზში 1999 წელს შამპანურის ჭიქით ხელში, კაცი ვერ წარმოვიდგენდა, რომ სირია მალე აოხრდებოდა, რომ იქ ყველაზე საშინელი ძალადობა დატრიალდებოდა, რომ ალექსანდრიაში მთლიანად დაიფრთხილებოდა, რომ ომანების მეჩეთის მინარეთი ნანგრევებად იქცეოდა, ამდენი მეგობარი დაიღუპებოდა ან ამდენს მოუწევდა გახიზვნა; დღესაც კი შეუძლებელია ამ ზიანის მასშტაბისა და ტკივილის სიმძაფრის წარმოდგენა ვენის მყუდრო და უხმაურო ბინაში.

აი, ფირფიტაც დამთავრდა. როგორი ძალა იგრძნობა ნაზერის ამ ნაწარმოებში. რა ჯადოსნური, იდუმალი სიმარტივეა, როგორ ამშვენებს დასარტყამების არქიტექტურა სიმღერის ნელ პულსაციას და შორეულ რიტმს ექსტაზის მისაღწევად, ერთგვარ ჰიპნოზურ ზიქრს, რომელიც თითქოს ყურზე გეწებება და საათების განმავლობაში არ გშორდება. ნადიმი დღეს ლუტნიის საერთაშორის-

სოდ აღიარებული დამკვერელია. მათმა ქორწინებამ დიდი მითქმა-მითქმა გამოიწვია დამასკის უცხოელთა პატარა სათვისტომოში, ყველაფერი ისე მოულოდნელად და უეცრად მოხდა, რომ ეს ამბავი საეჭვო გამოჩნდა ბევრის, განსაკუთრებით კი, სირიაში საფრანგეთის საელჩოს თვალში – ეს ერთი იყო სარასთვის ჩვეულ მრავალრიცხოვან სიურპრიზთაგან, უკანასკნელი კი სარავაკზე დაწერილი ეს განსაკუთრებულად შთამბეჭდავი სტატია გახლდათ. ნადიმის მოსვლიდან მალევე დავემშვიდობე მათ, სარა დიდხანს მიხდიდა მადლობას ჩემი იქ მისვლის გამო და, რამდენიმე დღით ხომ რჩები პარიზში, ერთმანეთის ნახვა რომ მოვასწოროთო, მკითხა. ხვალ ვბრუნდები ავსტრიაში-მეთქი, ვუპასუხე. მონინებით გამოვესალმე მაგიდაზე გადათხლამულ უნივერსიტეტის ამაგდარს და წამოვედი.

კაფედან გამოვედი და პარიზის ქუჩებს გავუყევი. სენის სანაპიროს ხმელ ფოთლებში მივაბიჯებდი და გონებაში დაუსრულებლად ვატრიალებდი იმ რეალურ მიზეზებს, რომლებმაც ამდენი დროის კარგვისკენ მიბიძგა – დავსწრებოდი დისერტაციის დაცვას და მერე მის საზეიმო აღნიშვნას. თვალწინ მიდგას პარიზი, გაბნეული ნათება, ნისლში სანახევროდ გახვეული ხიდეები, უშინაარსო ხეტიალი, რომლის მიზანიცა და აზრიც შეიძლება აპოსტერიორი გამოჩნდეს და თანაც სწორედ ვენაში, სადაც ბ-ნი გრუბერი თავის ბინძურ და მყრალ ძაღლთან ერთად ბრუნდება სეირნობიდან: ქერიდან ჯერ მძიმე ნაბიჯების, ძაღლის წკმუტუნის, შლიგინის და, ბოლოს, ფხაკუნის ხმა ჩამოისმის. ბ-ნი გრუბერი არასდროს ყოფილა სირუმის მოყვარული, მაგრამ პირველი მაინც ის აწუნუნდა ჩემს ფირფიტებზე, შუბერტს კიდევ რა უშავს, მაგრამ აი ის ძველი ოპერები და აი ის რომაა, ჰო, ეგზოტიკური მუსიკა, ყველას მოსაწონი ვერაფერით ვერ იქნებაო, მითხრა. ხომ გესმით, რის თქმაც მინდაო, დააყოლა. მესმის, რომ მუსიკა განუხებთ, ბატონო გრუბერ, ხომ ხედავთ, როგორ განვიცდი ამას, მაგრამ მსურს, გაცნობოთ, რომ თქვენი აქ არყოფნისას ყველანაირი ცდა ჩავატარე თქვენი ძაღლის სმენაზე, რის მოფიქრება და წარმოდგენაც შეიძლებოდა და აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ ბრუკნერი (თანაც ისეთ სიმაღლემ-

დე ანეული ხმით, რომელიც მიუღებელს უახლოვდება) გადააფიქრებინებს ხოლმე პარკეტზე ბრჭყალებით ფხაჭუნს და აწყვეტინებს იმ გამყვანი ხმით ყეფას, რომელზეც მთელი სახლი ჩივის, სხვათა შორის. ვაპირებ, სამცხნიერო სტატია დავწერო ვეტერინარულ მუსიკოთერაპიაზე, რისთვისაც, სრულიად ეჭვგარეშეა, ჩემნაირების მოლოცვებს დავიმსახურებ: „ჩასაბერი საკრავების ეფექტი ძალღების გუნება-განწყობილებაზე: განვითარება და პერსპექტივები“.

გრუბერს გაუმართლა, დაღლილი რომ ვიყავი, თორემ ჩავურთავდი მთელ ხმაზე რამეს ტომბაკით, რამე ეგზოტიკურს მისი ძალღების და თავად მისთვისაც. დამალა მოგონებების ამ გრძელმა დღემ, რომლითაც მინდოდა – შევხედოთ სიმართლეს თვალეში – ავადმყოფობის პერსპექტივას გავქცეოდი სადმე. დილას, საავადმყოფოდან დაბრუნებისას, საფოსტო ყუთი გავხსენი, ვიფიქრე, ამ სქელ კონვერტში სამედიცინო გამოკვლევების შედეგები იდება-მეთქი, რომელთა ასლიც ლაბორატორიას უნდა გამოეგზავნა ჩემთვის. კარგა ხანს ვიყოყმანე, გამეხსნა თუ არა, ვიდრე საფოსტო შტამპმა არ გამომაფხიზლა. სარა სადღაც დარჯილინგსა და კალკუტას შორის მეგულებოდა და აი, უცებ კუნძულ ბორნეოს, ოდესღაც ბრიტანეთის საკუთრებაში მყოფი ამ ღიპიანი კუნძულის, ჩრდილოეთის ამწვანებული ჯუნგლებიდან არ გამომეცხადა? სტატიის საშინელი თემა, მშრალი ტონი, ესოდენ განსხვავებული მისი ჩვეული სილალისაგან, შემადრწუნებელია; კვირები გავიდა, რაც ერთმანეთისთვის არაფერი მიგვიწერია და ზუსტად იმ დროს, როცა ცხოვრების ასეთი რთული პერიოდი მიდგას, ასე უცნაურად ჩნდება – მთელი დღე მისი ტექსტების კითხვაში გავატარე, თითქოს მასთან ერთად ვიყავი, რამაც ფიქრები ამარიდა და ჩემივე თავს მომწყვიტა. ერთი სტუდენტი გოგონას ნაშრომის გასწორებას კი ვაპირებდი, მაგრამ უკვე ძილის დროა და, მგონი, ხვალ დილაზე ვერ მოვახერხებ, მის ნაშრომში – „აღმოსავლეთი გლუკის ვენურ ოპერებში“ – გამოთქმულ მოსაზრებებს ჩავუღრმავდე: დაღლილობისაგან თვალეებს ველარ ვახელ. კითხვა უნდა შევწყვიტო და დასაძინებლად წავიდე.